

**განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის
კატეგორია თურქულსა და ქართულში
(შეპირისპირებითი ანალიზი)**

**THE CATEGORY OF DEFINITENESS
AND INDEFINITENESS
IN TURKISH AND GEORGIAN
(CONTRASTIVE ANALYSIS)**

თამარ ქაროსანიძე-ქირსაჩი

რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი
რიზე, თურქეთი

Tamar.Karosanidze-Kirsach

Rize Recep Tayyip Erdogan University
Rize, Turkey

აბსტრაქტი

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა სემანტიკურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. იგი ყველა ენაში თავისებურად გამოიხატება. იმ ენებში, რომელთაც არ გააჩნია განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიისგამოხატვისსპეციალურიენობრივისაშუალებები(არტიკლები), აღნიშნული სემანტიკა გამოხატულია სხვადასხვა მორფოლოგიური და ლექსიკური საშუალებით. როგორც ცნობილია, თურქული და ქართული სხვადასხვა ენობრივ ოჯახს განეკუთვნება, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი სტრუქტურა. თუმცა არც ერთ მათგანს არ მოეპოვება არტიკლი. ორივე ენაში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია გამოხატულია იმპლიციტურად.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატველი ფუნქციურ-სემანტიკური საშუალებები ქართულსა და თურქულში. განხილულია ორ ენას შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი.

ნაშრომის მიზანია, ერთმანეთს შეუდაროს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია ორი განსხვავებული სტრუქტურის მქონე უარტიკლო ენაში. გამოკვეთოს, ერთი მხრივ, ის უნივერსალები, რაც, საზოგადოდ, უარტიკლო ენებისთვისაა დამახასიათებელი და, მეორე მხრივ, აჩვენოს ის თავისებურებები, რაც ენათა განსხვავებული ბუნებითაა განპირობებული.

როგორც ქართულში, ისე თურქულში განსაზღვრულობის სემანტიკას გადმოსცემს ჩვენებითი ნაცვალსახელები. გარდა ამისა, თურქულში განსაზღვრულობის ფუნქციის გადმოცემა დაკისრებული აქვს ბრალდებით ბრუნვასა და კუთვნილებით აფიქსს. სახელის განსაზღვრულობის ამგვარი

ნიშნები უცხოა ქართულისთვის. განუსაზღვრელობის სემანტიკური კატეგორია ორივე ენაში გამოხატულია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით „ერთი, bir“. ამ უკანასკნელის განუსაზღვრელობის კატეგორიის გამოხატვის ფუნქცია ქართულთან შედარებით თურქულში გაცილებით ძლიერია. თუმცა ქართულს მოეპოვება განუსაზღვრელობის სემანტიკის გამომხატველი სხვა ნაცვალსახელებიც – „ვინმე“, „რამე“.

საკვანძო სიტყვები: განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკა, თურქული ენა, ქართული ენა.

ABSTRACT

Definiteness and indefiniteness are important semantic categories that manifest differently across languages. In languages that lack specific grammatical markers, such as articles, these concepts are conveyed through various morphological and lexical means. Turkish and Georgian, as is widely recognized, belong to different language families and have significantly different structures. However, neither language possesses articles. In both, the category of definiteness and indefiniteness is expressed implicitly.

This paper examines the functional and semantic means of expressing definiteness and indefiniteness in Georgian and Turkish. It discusses the similarities and differences found between the two languages.

This paper intends to compare the categories of definiteness and indefiniteness in two structurally different languages that lack articles. It seeks to identify the universal features commonly found in languages without articles, while also demonstrating the specific characteristics that emerge due to the unique nature of each language.

Both Georgian and Turkish convey the semantics of definiteness and indefiniteness through demonstrative pronouns. Additionally, Turkish employs the accusative case and possessive suffixes as markers of definiteness, which are absent in Georgian. The indefinite category is expressed in both languages by the indefinite pronouns *erti* (Georgian) and *bir* (Turkish), meaning “one”. The expression of indefiniteness is significantly stronger in Turkish compared to Georgian. However, Georgian also employs other pronouns to convey indefiniteness, such as *vinme* (meaning “someone”) and *rame* (meaning “something”).

Keywords: Semantics of definiteness and indefiniteness, Turkish language, Georgian language.

შესავალი

ენაში ფორმასა და შინაარსს შორის არ არსებობს ურთიერთცალსახა მიმართება. თანამედროვე ენათმეცნიერებაში დიდი ყურადღება ექცევა ფრაზის (წინადადების) ფუნქციონალურ დატვირთვას. ფრაზაში ხდება ძველი და ახალი ინფორმაციის, თემისა და რემის დიფერენცია. ესა

თუ ის წევრი გამოყოფილია განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის თვალსაზრისით (ენუქიმე 1987: 120). განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიას ტრადიციულად მიაკუთვნებენ გამონათქვამის სემანტიკურ ანუ ცნებით კატეგორიათა რიცხვს (კირვალიძე 2006: 100). იგი უნივერსალური კატეგორიაა და ყველა ენაში სხვადასხვა საშუალებით გამოიხატება. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს არტიკლით ან სხვა ლექსიკური საშუალებით, ასევე, სინტაქსური საშუალებებით. შესაბამისად, ენები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: არტიკლიან და უარტიკლო ენებად. როგორც ცნობილია, თურქული და ქართული სხვადასხვა ენობრივ ოჯახს განეკუთვნება, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი სტრუქტურა. თუმცა არც ერთ მათგანს არ მოეპოვება არტიკლი. ორივე ენაში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია გამოხატულია იმპლიციტურად.

კვლევის მეთოდები

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ანალიზისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდები. გაანალიზებულია ორი ენის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია. შედარებულია განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამომხატველი ფუნქციურ-სემანტიკური საშუალებები ქართულსა და თურქულში. ნაშრომში განხილული თურქული მაგალითები მოყვანილია საკითხთან დაკავშირებული თურქული სამეცნიერო ლიტერატურიდან, ქართული საანალიზო მასალა წარმოდგენილია ქართული ენის ციფრული კორპუსებიდან.

მსჯელობა

თურქულში, როგორც ერთ-ერთ უარტიკლო ენაში, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორია ნულოვანი ნიშნითაა გამოხატული. თურქული ფუნქციური სინტაქსის სახელმძღვანელოში აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოყვანილია შემდეგი მაგალითი:

1. Ahmet' i **köpek** (= herhangı birköpek) ısırmış. ("Köpek" belirsiz), „აჰმედისთვის ძაღლს (= ნებისმიერ ძაღლს) უკბენია“ (ძაღლი განუსაზღვრელია).

2. **Köpek** (= bu köpek, senin de bildiğin köpek) Ahmet'i ısırmış. ("Köpek" belirli) (Daşdemir, 2015: 65). „ძაღლს (ეს ის ძაღლია, რომელიც შენც იცი) აჰმედისთვის უკბენია“ (ძაღლი განსაზღვრულია).

მსგავსი ვითარებაა თანამედროვე ქართულშიც. წინადადების ბოლოს დაისმის უცნობი, ახალი, რაც შინაარსით განუსაზღვრელია მაგალითად, რომ შევადაროთ ორი წინადადება:

1. მან მაწავლებელს გადასცა **წიგნი**.

2. მან მაწავლებელს **წიგნი** გადასცა (ზექალაშვილი 2013: 135).

პირველში წიგნი განუსაზღვრელია, მეორეში კი – განსაზღვრული ანუ ნაცნობი.

თურქულში განსაზღვრულობის მაჩვენებლად, პირველ რიგში, ბრალდებითი ბრუნვა გვევლინება. ბრალდებითი ბრუნვის ნიშანი თურქულში დაერთვის გარდამავალი ზმნის ობიექტს. იგი ობიექტის განმსაზღვრელი ბრუნვაა. განუსაზღვრელ ობიექტს განსაზღვრულ ობიექტად აქცევს. განსხვავება ბრუნვის ნიშნიან და უბრუნვის ნიშნო ობიექტს შორის გვაქვს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მიხედვით.

აღნიშნული სუფიქსის ფუნქციაა არა მხოლოდ სინტაქსური კავშირის დამყარება, არამედ ობიექტის განსაზღვრა, მისი დაკონკრეტება (Karahana 1996: 607). აღნიშნული სუფიქსი სემანტიკურად დაკავშირებულია უშუალოდ იმ სიტყვასთან, რომელსაც დაერთვის:

1. Mektubu almışlar; İçiyi gönderecek „წერილი მიუღიათ; მუშას გაგზავნიან“.

2. Mektup almışlar; İçgi gönderecek (Banguoğlu 2015: 325) „წერილი მიუღიათ; მუშას გაგზავნიან“.

პირველ მაგალითში ობიექტი განსაზღვრულია, მეორეში – განუსაზღვრელი. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში «+I» სუფიქსის ფუნქცია მხოლოდ განსაზღვრულობის სემანტიკის გამოხატვაა. სხვა შემთხვევაში სინტაქსური კავშირი ობიექტსა და შემსამენელს შორის მარტივად მყარდება ბრალდებითი ბრუნვის ნიშნის დაურთველად.

განსაზღვრული ცნებები (საკუთარი სახელები, ნაცვალსახელები, ჩვენებითი ნაცვალსახელებით განსაზღვრული ცნებები, კუთვნილებითი სუფიქსებით გაფორმებული სახელები, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული სახელები) მხოლოდ ბრალდებითი ბრუნვის ნიშნის დართვის შედეგად იქცევა ობიექტად. ქვემოთ მოყვანილ მაგალითთაგან თურქული ენის ბუნებას შეესაბამება მხოლოდ ბრალდებითბრუნვიანი ვარიანტები:

- Ahmet, Hasan getirdi – Ahmet, Hasan+ı getirdi; Sen tanıdım – Sen+i tanıdım; Bazıları gördüm – Bazıları+(n)i gördüm; Herkes götürdüm – Herkes+i götürdüm; Bu gömlek sevdim – Bu gömleğ+i sevdim.; Çantam getirdin mi? – Çantam+i getirdin mi? (Karademir 2013: 229). „აჰმედმა ჰასანი მოიყვანა; შენ გაგიცანი; ზოგიერთები ვნახე; ყველა წავიყვანე; ეს პერანგი მომეწონა; ჩემი ჩანთა მოიტანე?“

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი განუსაზღვრელია (დართული აქვს განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი), იგი არ დაირთავს ბრალდებითი ბრუნვის ნიშანს:

- Bir köprü daha inşa edin (Karaağaç 2021: 83). „ერთი ხიდი კიდევ ააგეთ“.

ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბრალდებითი ბრუნვის მთავარ ფუნქციას – გადმოსცეს განსაზღვრულობის სემანტიკა. ბრალდებითი ბრუნვის ნიშანს სპეციალურ ლიტერატურაში განმსაზღვრელ ნიშანსაც უწოდებენ.

როგორც ცნობილია, ქართულ ენას არ მოეპოვება ბრალდებითი ბრუნვა. შესაბამისად, სახელის განსაზღვრულობის ამგვარი ნიშანი ქართულისთვის უცხოა.

თურქულში კუთვნილებითი აფიქსის ერთ-ერთ ფუნქციად სპეციალურ ლიტერატურაში განსაზღვრულობის კატეგორიის გადმოცემა დასახელებული. ცნობილია, რომ მისი მთავარი ფუნქცია საკუთრება-კუთვნილების გამოხატვაა, თუმცა ზოგჯერ სრულიად დაცლილია საკუთრება-კუთვნილების მნიშვნელობისგან და მხოლოდ განსაზღვრებით აფიქსად გვევლინება (Üstünoğlu 2021: 180; Ergin 2013: 225). სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თურქულში კუთვნილებით სუფიქსს სამივე პირში აქვს განსაზღვრულობის გადმოცემის ფუნქცია (Korkmaz 2014: 278). კუთვნილებითი სუფიქსის განსაზღვრულობის ფუნქცია თურქულში ნათლად ჩანს ორი ენის – ქართულისა და თურქულის შედარებისას. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

1. მაპატიე... – ვამბობდი მე. **დედა** თავზე ხელს მისვამდა და ხმას არ იღებდა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

Affet... – diye söylüyordum. **Anne+m** başımı okşuyor, sesini çıkarmıyordu.

2. სად არის **დედა**? ლევანმა უფრო დაბლა ჩაღუნა თავი და სდუმდა¹ (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)

Anne+n nerede? Levan başını daha da eğdi ve susuyordu.

3. **დედა** მოვიდა, თავთ დაუჯდა შვილს და შუბლზე ხელი გადაუსვა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)

Anne+si geldi, evladının başına oturdu ve alnını okşadı.

პირველ სამ მაგალითში ქართულში „დედა“ არ არის გაფორმებული რაიმე ნიშნით, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრული სახელია. პირველ მაგალითში საუბარია ჩემს დედაზე, მეორეში – შენს დედაზე, მესამეში – მის დედაზე.

ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა თურქულში. როდესაც მოცემული ქართული მაგალითები თურქულ ენაზე გადაგვაქვს, იმისათვის, რომ მივიღოთ თურქული ენისათვის ბუნებრივი ფორმები, სიტყვა «Anne» უნდა გავაფორმოთ კუთვნილებითი აფიქსებით.

თურქული კუთვნილებითი აფიქსის ფარდი ქართულს არ მოეპოვება. ამ ფუნქციით ქართულში უმეტესად გვხვდებით კუთვნილებით ნაცვალსახელს: **Anne + m = დედაჩემი, anne + n = დედაშენი, anne + si = დედამისი**. ამგვარ მაგალითებში კუთვნილებით ნაცვალსახელს განსაზღვრულობის გამოხატვის ფუნქცია აკისრია.

- ყველაზე უფრო დასევდიანდა თურმე **დედაჩემი** (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

- მართალია, რასაც **დედაშენი** ამბობს (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

- ბედნიერი **დედამისი** რაო რას იწერება? (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

- თქვენ და **დედაჩვენი** ხართ და ცრემლი არ შეგშრობიათ თვალებზე (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

- **დედათქვენი** ოთხ დღეს კიდევ გვეყოლება სახლში, ზავშვებო (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამგვარი ფორმით არ გვხვდება მრავლობით რიცხვში მდგომი მესამე პირის ნაცვალსახელი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი ფორმით არაა წარმოდგენილი ყველა სახელი, მაგ., ძმაჩემი, დაჩემი... თუმცა არსებობს ასეთი შემთხვევებიც:

- ლიძავაში ვისვენებდით: დედა, მამა, **ჩემი ძმა** (<https://corpora.iliauni.edu.ge/results>).

- მე მას ჩავაბარე **ჩემი ძმა**, მამა, დედა (<https://corpora.iliauni.edu.ge/>).

როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გადმოცემისას გადამწყვეტი როლი კონტექსტს ენიჭება.

თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში კუთვნილებითი აფიქსის განსაზღვრულობის ფუნქციასთან დაკავშირებით ხაზგასმულია: კუთვნილებითი აფიქსი, ძირითადად წარმოდგენილია მსაზღვრელ-

¹ მაგალითები წარმოდგენილია უცვლელად.

საზღვრულის სინტაქსურ წყვილთან. იგი დაერთვის მსაზღვრელს და აღნიშნავს მის კუთვნილებას საზღვრულისადმი. თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ წყვილში კუთვნილებითსუფიქსიანი მსაზღვრელი არ გამოხატავს კუთვნილებას, მას განსაზღვრულობის გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული (Üstünoğlu 2021: 183). ავტორს აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითი: **Palandöken dağı „პალანდოკენის მთა“**. აქვე მიუთითებს, რომ წარმოდგენილ მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ წყვილში იგულისხმება პალანდოკენის სახელით ცნობილი მთა და არა პალანდოკენის საკუთრებაში მყოფი მთა. ამ შემთხვევაში მთა გარჩეულია სხვა მთებისგან. **რომელი მთა? პალანდოკენის მთა.** ამ კონკრეტულ მაგალითში მსაზღვრელს აკისრია ზედსართავი სახელის ფუნქცია, «1» კუთვნილებითი აფიქსი კი დაერთვის საზღვრულს და განსაზღვრულობის ფუნქციითაა წარმოდგენილი (Üstünoğlu 2021: 183).

მართალია, ქართულს არ მოეპოვება კუთვნილებითი აფიქსი, თუმცა ზემოთ აღნიშნულ ფუნქციას ქართულში სუბსტანტიური მსაზღვრელი ასრულებს. ქართულში სუბსტანტიური მსაზღვრელი ზედსართავი სახელის ფუნქციის მქონე არსებითი სახელია (უთურგაიძე 2004: 170). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სუბსტანტიურ მსაზღვრელთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ძირითადად, იგი მართული და მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის სახელითაა ცნობილი. თუმცა გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც სუბსტანტიური მსაზღვრელის ნიშანი (-ის/-ისა) წარმოქმნის ელემენტია. აქვეა აღნიშნული „ა“ ხმოვნის ფუნქციაც. თ. უთურგაიძის აზრით, ძველ ქართულამდე იგი განსაზღვრებით ელემენტად უნდა მოვიზიაროთ (იქვე: 170-171).

თურქულში განსაზღვრულობის სემანტიკას გამოხატავს, ასევე, ჩვენებითი ნაცვალსახელები:

- bu ağaç, şu çiftlik, o dağlar (Banguoğlu 2015: 351) „(ეს ხე, ეგ ფერმა, ის მთები“.

განსაზღვრულობის სემანტიკური კატეგორია ჩვენებითი ნაცვალ-სახელებით გამოიხატება ქართულშიც (ზექლაშვილი 2013: 132):

- ეს ამბავი (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)
- ეგ საბუთი (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)
- ის ქალაქი (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>)

“bir” ლექსიკური ერთეული თურქულში გამოიყენება როგორც რიცხვითი სახელის, ისე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის გამოსახატად:

- bir gün; bir kız; bir akşam. „ერთი დღე; ერთი გოგონა; ერთი საღამო“.

მოცემულ მაგალითებში იგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციითაა წარმოდგენილი (Ergin 254-255).

ანალოგიური ვითარებაა ქართულშიც. „ერთი“ გვხვდება როგორც რიცხვითი სახელის, ისე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით. ეს უკანასკნელი თურქულის მსგავსად ქართულშიც გამოხატავს განუსაზღვრელობის სემანტიკას:

• რომ მივუახლოვდით, ერთი მინდორი გამოჩნდა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

თურქულში როდესაც „bir“ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მნიშვნელობითაა ნახმარი, შესაძლოა მოგვევლინოს მრავლობით რიცხვში მდგომი სახელის მსაზღვრელადაც:

• bir zamanlar; bir vakitler; bir yerler; bir şeyler „ოდესღაც, ერთ დროს, რაღაც ადგილები, რაღაცები“.

მოცემულ მაგალითში ლექსიკური ერთეულით «bir» არ არის გამოხატული რიცხვითი ნიშანი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ იგი მრავლობითი რიცხვის ფორმებთან ერთადაა წარმოდგენილი (Ergin 254-255).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თურქულისგან განსხვავებით ქართულში „ერთი“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, როგორც წესი, არ გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმების მსაზღვრელად. თუმცა, ქართულში ხშირია „ერთი“ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან ერთად „ვინმე“, „რამე“, „ვიღაც“, „რაღაც“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების გამოყენების შემთხვევები. ამათგან „ვინმე“, „ვიღაც“ სულიერ სახელებთან გვხვდება:

• კრებაში **ერთი ვინმე** ჩანს სახემკრთალი და მშვიდია (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

• შეირთო **ერთი ვიღაც** აზნაურიშვილი, ქალაქში მსახურობდა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

საყურადღებოა, რომ „ვინმე“ გვხვდება საკუთარ სახელთანაც, თუკი ადამიანის შესახებ ნაკლებად არის ცნობილი რამე მოცემული მომენტისთვის ან ინფორმაციის წყარო უცნობი, ანდა საუბარია ისტორიულ პირზე, მაგრამ საყოველთაოდ უცნობზე (ზექალაშვილი 2013: 133)

• რატომღაც **ვინმე** ტულუში გაახსენდა (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

„რამე“, „რაღაც“ ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, უსულო საგნებთან იხმარება:

• მაძღრები კი იქნებიან, მაგრამ **ერთი რამე** საჭმელი ექნებათ მხოლოდ – სიმინდი ან ხორბალი მაგალითად (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

• **ერთი რაღაც** ქალაღივ მოჰხვდა ხელში (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>).

დასკვნა

ქართული და თურქული ენების განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ენების დაყოფა ორ დიდ ჯგუფად – არტიკლიან და უარტიკლო ენებად – პირობითია. ყველა უარტიკლო ენას, ერთი მხრივ, მოეპოვება ის უნივერსალიები, რაც, საზოგადოდ, უარტიკლო ენებისთვისაა დამახასიათებელი და, მეორე მხრივ, ავლენს გარკვეულ თავისებურებებს, რაც ენათა განსხვავებული ბუნებითაა განპირობებული. ბუნებრივია, აღნიშნული კატეგორიის გამოხატვის საშუალებები ვარირებს ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას.

როგორც ქართულში, ისე თურქულში განსაზღვრულობის სემანტიკას გადმოსცემს ჩვენებითი ნაცვალსახელები. გარდა ამისა, თურქულში

განსაზღვრულობის ფუნქციის გადმოცემა დაკისრებული აქვს ბრალდებით ბრუნვასა და კუთვნილებით აფიქსს. სახელის განსაზღვრულობის ამგვარი ნიშნები უცხოა ქართულისთვის. განუსაზღვრელობის სემანტიკური კატეგორია ორივე ენაში გამოხატულია განუსაზღვრელობით ნაცვალსახელით bir / ერთი. ამ უკანასკნელის განუსაზღვრელობის კატეგორიის გამოხატვის ფუნქცია ქართულთან შედარებით თურქულში გაცილებით ძლიერია. თუმცა ქართულს მოეპოვება განუსაზღვრელობის სემანტიკას გამომხატველი სხვა ნაცვალსახელებიც: „ვინმე“, „რამე“.

გამოყენებული ლიტერატურა

ენუქიძე 1987: ენუქიძე ლ., ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. თბილისი, 1987. გამომც. „მეცნიერება“.

ზექალაშვილი 2013: ზექალაშვილი რ., სახელის ზოგიერთი აქტუალიზატორის გრამატიკულ-სემანტიკური დახასიათება ქართულში. ჟურნალი „წელიწდეული“, №5, 2013, გვ. 128-137.

კვაჭაძე 1988: კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი, 1988. გამომც. „განათლება“.

კირვალიძე 2006: კირვალიძე ნ., განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის პრაგმატიკულ-ტექსტობრივი არსი დისკურსის ანალიზში. ჟურნალი „ენა და კულტურა“, №3, 2006, გვ. 100-106.

უთურგაძე 2004: უთურგაძე თ., სუბსტანტიური მსაზღვრელი ძველსა და თანამედროვე ქართულში. ქართული კულტურის საკითხები, წიგნი მეთორმეტე. თბილისი, 2004, გვ. 170-177.

Banguoğlu 2015: Banguoğlu T., Türkçenin Grameri., Ankara, 2015, Türk Dil Kurumu Yayınları.

Daşdemir 2015: Daşdemir M., Yapısal-İşlevsel Söz Dizimi. Erzurum, 2015, Fenomen yayınları.

Ergin 2013: Ergin M., Türk Dil Bilgisi., İstanbul, 2013, Bayrak Basım Yayınları.

Karahan 1999: Karahan L., Yükleme (Accusative) ve İlgi (Genitive) Hali Ekleri Üzerine Bazı Düşünceler. III. Uluslararası Türk Dili Kurultayı Bildirileri. Ankara, 1999. TDK Yayınları. s. 605-611.

Karaağaç 2021: Karaağaç G., Türkçenin Söz Dizimi. İstanbul, 2021. Kesit yayınları.

Karademir 2013: Karademir F., Türkiye Türkçesinde İyelik Olgusu. İstanbul, 2013. Kesit yayınları.

Üstünova 2021: Üstünova K., İyelik Ekinin Belirtme İşlevi ya da Tamlayanı Tamlananın Sıfatı Yapan Ek. XVI. Uluslararası Büyük Türk Dili Kurultayı, cilt.1. Ankara, 2021. s. 180-188.

<http://gnc.gov.ge/gnc/concordance> დამოწმება: 03.05.2025.

https://corpora.iliauni.edu.ge/search_words დამოწმება: 07.05.2025.

References

- Banguoğlu 2015:** Banguoğlu T., Grammar of Turkish. Ankara, 2015, Turkish Language Association Publications.
- Daşdemir 2015:** Daşdemir M., Structural-Functional Syntax. Erzurum. 2015. Fenomen Publications.
- Enukidze 1987:** Enukidze L., Basic Syntactic Theories in Contemporary Foreign Linguistics. Tbilisi, 1987. "Science".
- Ergin 2013:** Ergin M., Turkish Grammar, İstanbul. 2013, Bayrak Basım Yayın.
- Karaağaç 2021:** Karaağaç G., The Syntax of Turkish. İstanbul, 2021. Kesit Publications.
- Karademir 2013:** Karademir F., The Phenomenon of Possession in Turkish. İstanbul, 2013. Kesit Publications.
- Karahan 1996:** Karahan L., Some Thoughts on the Accusative and Genitive Case Suffixes. In Proceedings of the 3rd International Turkish Language Congress. Ankara, 1996. Turkish Language Association Publications. p. 605-611.
- Kirvalidze 2006:** Kirvalidze N., Pragmatic-Textual Essence of the Category of Definiteness in Discourse Analysis. Language and Culture, No 3, 2006, pp. 100-106.
- Kvachadze 1988.** Kvachadze L., Syntax of Contemporary Georgian. Tbilisi, 1988. "Education".
- Uturgaidze 2004:** Uturgaidze T., The Substantive Modifier in Old and Modern Georgian. Issues of Georgian Culture, Book Twelve. Tbilisi, 2004, pp. 170-177.
- Üstünoğlu 2021:** Üstünoğlu K., The Definitive Function of the Possessive Suffix or the Suffix That Turns the Possessor into an Adjective of the Possessed. In Proceedings of the 16th International Great Turkish Language Congress, Vol.1. Ankara, 2021. p. 180-188.
- Zekalashvili 2013:** Zekalashvili R., Grammatical and semantic characteristics of the noun actualizing means in the Georgian literary language. Tselitsdeuli. №5, 2013, pp. 128-137.
- <http://gnc.gov.ge/gnc/concordance> 03.05.2025.
- https://corpora.iliauni.edu.ge/search_words) 01.03.2021.